ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დიმიტრი მხეიძის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო შეხვედრის ჩატარების

ოქმი N 2

საანგარიშო შეხვედრის ჩატარების დრო:

28 ოქტომბერი, 2023 წელი 15:00 საათი.

ანგარიშის წარდგენის ადგილი:

ქალაქი ქუთაისი სოლომონ I -ის N 46ა.

ხარაზოვის ბაღი

შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე.**

ესწრებოდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრები, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველები, სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა სფეროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა **დიმიტრი მხეიძემ** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 130-ე მუხლის შესაბამისად, საანგარიშო შეხვედრაზე, წარადგინა ანგარიში მის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრის,

დიმიტრი მხეიძის ანგარიში ოქმს თან ერთვის.)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **დიმიტრი მხეიძემ** ისაუბრა, როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებისა" და კომისიების საქმიანობისას შემუშავებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად განხორციელებული პროექტების, ასევე ამომრჩევლების მიერ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, **დიმიტრი მხეიძემ** საანგარიშო პერიოდის შეჯამებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული შეღავათებისა და მომსახურეობის ხელმისაწვდომობის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებს, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ შემუშავებულ ინიციატივებს, ქალაქში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ანგარიშის წარდგენის დასასრულს, ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **დიმიტრი მხეიძემ** მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, მოწვეულ სტუმრებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებსა და საკრებულოს აპარატს გამოცხადებული ნდობისა და თანადგომისათვის.

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქე მადონა გორდეზიანი: „მოგესალმებით, ბატონო დიმიტრი, მაინტერესებს თქვენს მიერ განხილული, რომელიმე პროგრამა ითვალისწინებს თუ არა სოციალურად დაუცველებისათვის ექიმთან უფასო ვიზიტს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „მადლობას მოგახსენებთ კითხვისათვის, როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტით განსაზღვრული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით მოსარგებლე, მიზნობრივი ჯგუფების მრავალფეროვნების მხრივ. ყოველწლიურად უკვე არსებული პროგრამებით მოსარგებლე პირებს, ემატება სხვადასხვა სტატუსის მქონე ბენეფიციარები. მაგალითად, მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლეთა სიას დაემატა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები; სამედიცინო დახმარების პროგრამას ასაკის პენსიონერები, მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე პირები; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამას ისეთი მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით და ა.შ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, მუდმივად ვცდილობთ, ჩვენს მიერ მოწონებული პროგრამებით გათვალისწინებულმა შეღავათებმა, მეტი სარგებელი მოუტანოს მოქალაქეებს და შეძლოს მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

თქვენს მიერ დასმულ საკითხს, რაც შეეხება მინდა გითხრათ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს მსგავსი მომსახურება, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის, იმ კლინიკების მიხედვით, სადაც ისინი რეგისტრირებულნი არიან, თითქმის ყველა ექიმთან ვიზიტი უფასოა".

მოქალაქე ლამარა ნანიკაშვილი „მოგესალმებით, საინტერესოა იგეგმება თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე პენსიის მატება?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე** : „პენსიის დაფინანსების წყარო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტია. პენსიის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, ან კანონით დადგენილი გაანგარიშების წესისა და პირობების შესაბამისად. უფრო მარტივად, რომ ვთქვათ პენსიის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცესებთან, ბიუჯეტის პარამეტრებისა და

შესაძლებლობების მიხედვით ხდება. სამწუხაროდ, წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პენსიის მატება არ იგეგმება. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საკითხი საკმაოდ პრობლემატური და აქტუალურია. ჯერ კიდევ 2022 წელს ჯანდაცვის სამინისტროს ინიცირებით პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი არსებულ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის მიზნით. აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრებოდა ის მინიმალური თანხა, რომლის ქვემოთაც პენსიები ვერ მოიმატებდა და ეს შექმნიდა პენსიის ზრდის გარანტიებს საკანონმდებლო დონეზე. კანონპროექტი პენსიის ინდექსაციასაც ითვალისწინებდა, რაც გულისხმობს გარკვეული დანამატის გაჩენას იმ სოციალურ გასაცემლებზე, რომელიც მოქმედებს წლიდან წლამდე, ეს იქნებოდა გადაზღვევა იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონოდათ შესაბამისი დახმარება, რომელიც დაექვემდებარებოდა ინდექსაციას და მასზე მიმდინარე ეკონომიკური ტენდეციები ნაკლებად იმოქმედებდა. ამ კანონპროექტის მიხედვით, განხორციელებული ცვლილებებით, სამომავლოდ შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე პენსიის ზრდა, ყოველწლიურად გახდეს სავალდებულო.

ვიმედოვნებ, რომ ეს საკითხი ხელისუფლების მიერ კიდევ ერთხელ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი და დადებითად გადაწყვეტილი, სამართლებრივ დონეზე. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ შეზღუდული შესაძლებლობების პირები სარგებლობენ სხვადასხვა ბენეფიტებით. არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი სოციალური პაკეტები, რომლებიც მორგებულია შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე. მაგალითად: ქრონიკული დაავადების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის პირებს სამედიცინო მომსახურება აქვთ უფასო, კარდიოლოგიური პრობლემების მქონე მოქალაქეებს უფასო მედიკამენტები და ა.შ. "

შეხვედრის დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონი **დიმიტრი მხეიძის** მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ბატონი დიმიტრი მუდმივად არის ჩართული საკრებულოს საქმიანობაში, სისტემატურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების სამუშაო შეხვედრებში. ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან და ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე. მადლობა გადაუხადეს ნაყოფიერი საქმიანობისათვის და უსურვეს წარმატებები.

საკრებულოს წევრი

დიმიტრი მხეიძე

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი:

საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული

განყოფილების უფროსი

ნინო კაკაბაძე

საკრებულოს წევრის, დიმიტრი მხეიძის ანგარიში

(2022 წლის ნოემბრიდან-2023 წლის ნოემბრამდე)

გაწეული მუშაობის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ, 2021 წლის დეკემბრიდან ვარ მე-7 მოწვევის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 130-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა საშუალებას მაძლევს უშუალოდ ვიყო ჩართული ქალაქის ეკონომიკური-სოციალური განვითარების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობის, დასაქმების პრობლემის გადაჭრისა და სხვა ისეთი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, რომლებიც იკვეთება მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციისა და ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესებში. მოქალაქეებთან ხშირი შეხვედრები კი მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები, ხელი შევუწყო საკითხებზე დროულ რეაგირებას და ქმედითად ვიმუშაო მთელ გუნდთან ერთად პრობლემების გადაჭრაზე.

- **საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა**

როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 13 სხდომაში. განხილული საკითხები კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნებულია საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.kutaisi.gov.ge და საკანონმდებლო მაცნეში.

ხაზგასმით მინდა ავღნიშნო ყველა საკითხი, რომელიც საკრებულოს სხდომაზე მოვიწონე და დავეთანხმე, ემსახურებოდა ქალაქის და მოსახლეობის ინტერესს.

- **საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა**

მოგეხსენებათ, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული

იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. საყურადღებოა, რომ თითოეული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. კომისიები კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ეგზავნება საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომებზე გამართული სამართლებრივი აქტების მიღების მიზნით. როგორც ზემოთ აღვნიშნე გაწევრიანებული ვარ ორ კომისიაში- საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

საანგარიშო პერიოდში ჩემი მონაწილეობით სულ გაიმართა 31 კომისიის სხდომა სადაც განხილული იქნა 69 საკითხი და შემუშავებული 61 დასკვნა, 21 რეკომენდაცია.

✓ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებულ 23 სხდომაზე, განხილულია 61 საკითხი, მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია 61 დასკვნა, 21 რეკომენდაცია. აქვე მინდა აღვნიშნო როგორც კომისიის წევრი აქტიურად ვიყავი ჩართული გამართული კომისიის სხდომის მუშაობაში.

კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მთავარი დოკუმენტის, 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესს. განხილვებში აქტიურ მონაწილეობის შედეგად კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დადგენილების პროექტის დანართებში ცალკე კოდით გენდერული მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამული დაფინანსების საკითხის ასახვის შესახებ (საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლი);

2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის პროგრამული დაფინანსების საკითხების გამოკვეთის შესახებ (საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე -16 მუხლის მე-4 პუნქტი);

3. საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი პროგრამული დაფინანსებით, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებათა წრის გაზრდის შესახებ (საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის “ 96-ე მუხლი);

4. მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერისა და თანადაფინანსებისათვის სისტემური სახის მიცემის თაობაზე. აღნიშნული მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების სახელმწიფო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მუნიციპალურ დონეზე საგრანტო ან/და სხვა პროგრამების გაზრდის შესახებ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ).

მინდა განსაკუთრებით გამოვყო ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების პროექტზე მუშაობა , როგორიცაა:

- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფცია;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა;
- ✓ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცება, რომლის საფუძველზე საჯარო და კერძო სამართლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს უფასო მგზავრობის უფლება მიეცათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

კომისიამ ასევე იმსჯელა ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა საკრებულოს ზოგიერთი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და მათი ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობა; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების; საკრებულოს ფრაქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვ. საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებზე.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში მოისმინა ანგარიშები და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეიმუშავოს ინსტრუქცია/მეთოდოლოგია, როგორ მოხდება აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშვალდებულება უნდა გაიზარდოს საკრებულოს წინაშე, დეპუტატის მიერ გაგზავნილი სადეპუტატო კითხვის ფარგლებში აუდიტმა ამომწურავი პასუხი და შესაბამისი დასკვნა უნდა მიაწოდოს შეკითხვების ავტორს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. საკრებულოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში აუდიტორული დასკვნები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი და საჯარო;

3. თავის მხრივ, მეტი გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვანია, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი საკრებულოს მიერ იქნეს არჩეული, ვინაიდან

მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელები იკავებენ პროფესიული ნიშნით განსაზღვრულ თანამდებობებს, რომელიც მნიშვნელოვანია ითვალისწინებდეს პირის დაკავებულ თანამდებობასთან პროფესიულ თავსებადობას, მისი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეფასების შესაძლებლობით. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტის განმახორციელებელი სუბიექტის ხელმძღვანელი უნდა დაექვემდებაროს თანამდებობაზე დანიშვნის არჩევითი პრინციპის სტრუქტურას;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მიერ საკითხზე მომზადებული დასკვნა და მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს შესაბამისობაში, ურთიერთ წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისა თუ კომისიის მიერ, მათ შორის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" კომისიის მიერ პრაქტიკაში უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლო პრეცედენტები და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკები, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებშიც შესასრულებლად სავალდებულოდ ითვლება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია წარმოებული დავების მოკვლევა და ერთი და იმავე საკითხზე დავების დიდი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, უნდა მოიძებნოს გამოსავალი მოქალაქეთა პრობლემების მარტივად გადასაჭრელად, მათ შორის ასეთი გამოსავალი შეიძლება იყოს სასამართლო პრაქტიკების მოხმობა და მათით ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღების დროს;

6. ყველა რგოლის თანამშრომლები უნდა გადიოდნენ მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად, ეს აუცილებელია ცოდნის განახლებისათვის, გამოცდილებისა და პრობლემების გაზიარებისათვის. სასურველია, მოძიებულ იქნეს შესაბამისი პროექტები, რომლებიც აფინანსებენ მსგავს აქტივობებს;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში შემოსული საპროექტო განაცხადის ირგვლივ სამსახურის მიერ გაცემული შენიშვნები, მითითებები, ხარვეზები სასურველია, იქნეს ერთიანად შემუშავებული და მიწოდებული განმცხადებლისათვის. განმცხადებელს ხარვეზების გამოსასწორებლად უნდა განესაზღვროს კონკრეტული ვადა, რომელიც დასაბუთებული და წინასწარ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გადაგრძელდეს არაუმეტეს კონკრეტული ვადით. განმცხადებლის მიერ დაზუსტებული განცხადების სამსახურში წარმოდგენის შემდეგ, სამსახურმა კონკრეტულ ვადაში უნდა მიიღოს დასაბუთებული პასუხი დაკმაყოფილების შესახებ, შესაძლებელია, სამსახურს განსაზღვრული ჰქონდეს მაგალითად 10 დღიანი ვადა, თუმცა, თუკი სამსახურის პასუხი 10 დღემდე ვადაში იქნება მომზადებული, ვადის

ამოწურვამდე მიაწოდოს იგი განმცხადებელს მოქალაქეზე მორგებული ეფექტიანი და ეფექტური სერვისის შეთავაზების მიზნით. საპროექტო განაცხადის მიღების, ხარვეზის დადგენის, გამოსწორებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს დროული, რათა დროში გახანგრძლივებული პროცესების გამო განმცხადებელმა ინტერესი არ დაკარგოს, როგორც თავისი საკითხის, ასევე, არ დაკარგოს ნდობა ინსტიტუციის მიმართ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამსახურს ჰყავდეს გადამზადებული კვალიფიციური კადრი (კონსულტანტი), რომელიც დაინტერესებულ პირს/განმცხადებელს მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას წარსადგენი დოკუმენტაციების, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ;

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, უნდა გამოიყენოს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები, მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს იმის შესახებ თუ რამდენად ასრულებს ხელშეკრულების მეორე მხარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედოს ხელშეკრულების მიხედვით და მოახდინოს სათანადო რეაგირება. მაგალითად, გაკონტროლდეს სამგზავრო ბარათების მარაგების არსებობა სათანადო ობიექტებსა და სივრცეებში, საჭიროებისამებრ გაიზარდოს იმ ობიექტთა ოდენობა, სადაც სამგზავრო ბარათების შეძენა იქნება შესაძლებელი; შეამოწმოს რამდენად მოწესრიგებულია ბარათზე სამგზავრო თანხის ჩასარიცხი აპარატი შესაბამისი მიზნისათვის გამოსაყენებლად და ა. შ. მგზავრთა ნაწილს არ აქვს ინფორმაცია სამგზავრო ბარათის შეძენისა და მასზე თანხის ჩარიცხვის პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების მხარეებმა (მუნიციპალიტეტის მერიამ ან/და დაკონტრაქტებულმა იურიდიულმა პირმა) აღნიშნულ პროცედურას რეკლამირება უნდა გაუკეთონ, რათა მგზავრი სრულად ინფორმირებული იყოს;

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის მგზავრთა გადაყვანის მიზნით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნა;

10. ქალაქ ქუთაისში მდებარე ე.წ. „ებრაელების სასაფლაოს“ ტერიტორიის მოწესრიგება;

11. უნდა მოწესრიგდეს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის არსებული ტერიტორიის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის გზაზე გაუნათებელი და მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა, უნდა მოხდეს ავტო ნაწილებისა და დაშლილების ბაზრობის სხვა ტერიტორიაზე გადატანა, საგზაო მონაკვეთი საჭიროებს ბორდიულებისა და გვერდულების მოწესრიგებას;

12. რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, რადგანაც იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის, ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუზეუმი

მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ, ისტორიულ უბანში, სადაც უამრავი ადგილობრივი თუ ტურისტი გადაადგილდება;

13. ქალაქ ქუთაისში, დღემდე არსებობს ბევრი ისტორიული არტეფაქტი, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული და სრულად შესწავლილი. ერთ-ერთ ასეთ ლოკაციას წარმოადგენს ჭომის უბანში, კონკრეტულად რუას ქუჩაზე არსებული ისტორიული აბაზანების ნაშთები და მე-19 საუკუნის ხიდი, რომელიც დაშენებულია უფრო ძველი ხიდის ბაზაზე. აღნიშნული ლოკაციის მოწყობა იქნება სრულიად ახალი ტურისტული სანახაობა ქალაქის უძველეს უბანში, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ახალი ბიზნესის განვითარებასა და სტიმულირებას, ასევე, შესაძლებელია მოეწყოს მცირე ტიპის კომერციული ობიექტები, რაც დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების წყარო შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბიზნესისათვის. დღეის მდგომარეობით, რუას ხეობას არ გააჩნია არანაირი ტურისტული დანიშნულება და ამ ფაქტის შესახებ უცნობია ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვისაც კი;

14. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქუთაისი გახდა ერთ-ერთი ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი, რასაც ხელს უწყობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარება. მგზავრთა ნაკადის ზრდასთან ერთად აუცლებელი გახდა ქალაქმა ხელი შეუწყოს და დააკმაყოფილოს სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული მოთხოვნა თუ საჭიროება, როგორიცაა მაგალითად, მოწესრიგებული და თანამედროვე საპირფარეშოების არსებობა ქალაქის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტიპის საპირფარეშოები გარდა ვიზუალური ნაწილისა, ასევე მარტივია საოპერაციო და მოვლა-პატრონობის მიმართულებითაც, რადგანაც გააჩნია, როგორც თვითწმენდის რეჟიმი, ასევე დამზადების მასალიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი გარეცხვა ე.წ. დაკერხერების მეთოდითაც. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება გაზრდის ტურისტებისა და ადგილობრივების კომფორტულობის დონეს ქალაქში;

15. რამდენიმე ქვეყანაში ფეხს იკიდებს „საქალაქთაშორისო პორტალი", რომელიც საშუალებას იძლევა პირდაპირ რეჟიმში უყურო სხვა ქალაქის ქუჩებსა და გამვლელებს, მიესალმო და გაესაუბრო ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ინიციატივის ფარგლებში იგეგმება ქუთაისის ტურისტულ ლოკაციებსა და ძირითად ღირსშესანიშნაობებთან განთავსდეს მსგავსი ტიპის მონიტორები და კამერები, ასევე დამეგობრებულ, პარტნიორ და ტურისტულად საინტერესო ქალაქებთან მოლაპარაკებების შედეგად განთავსდეს ანალოგიური ეკრანები და მოხდეს ვიდეო მიმოცვლა. აღნიშული პროექტი გაზრდის ქალაქის პოპულარობას და შექმნის ემოციურ დამოკიდებულებას ქუთაისის მიმართ, რამეთუ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში (პორტალის განთავსების შესაბამისად) უცხოელებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ქალაქის ყოველდღიურობას, რაც გაზრდის ინტერესს ქუთაისის მონახულებასთან დაკავშირებით;

16. მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკი წარმოადგენს ქალაქის ყველაზე დიდ სკვერს, რომლის საერთო ფართი 8 ჰექტარს აღემატება და მდებარეობს ერთ-ერთი

ცენტრალური გამზირის (ჭავჭავაძის გამზირის) მიმდებარედ. დღეის მდგომარეობით პარკი წარმოადგენს ქალაქის სარეკრეაციო სივრცის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგანაც აღნიშნულ ლოკაციაზე მოქალაქეთა დიდი ნაწილი იკრიბება. პარკი ძირითადად იზიდავს ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულ, სკეიტბორდის მოყვარულ და ბუნებაში სეირნობის მოყვარულებს. პარკში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ტიპის კონცერტები, რამეთუ მოწყობილი იყო ამფითეატრი, ასევე მსოფლიო დონის სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ღია ტიპის ჩვენებები. აღნიშნული სკვერის რეაბილიტაცია უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის განახლებული და კომფორტული გარემოს შექმნას. პარკის სივრცე და არეალი იძლევა საშუალებას მოეწყოს, როგორც ღია ტიპის ამფითეატრი, სკეიტ და ველო პარკი, ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულთათვის სარბენი ტრეკი, ღია ტიპის კომერციული ობიექტები, სხვადასხვა ტიპის ატრაქციონი და განტვირთვისათვის საჭირო სხვა ტიპის ატრაქციები. მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის რეაბილიტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ქუთაისის მაცხოვრებლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას;

17. ქუთაისის ისტორიული წითელი ხიდი და მის ახლოს მდებარე მაგნოლიას ხე წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოს და სავიზიტო ბარათს. აყვავებული მაგნოლიის ფოტოები ყოველ გაზაფხულზე აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. ერთობლიობაში წითელი ხიდი თავისი ისტორიული მნიშვნელობით და მაგნოლია, ჰქმნის საინტერესო ტურისტულ ლოკაციას. წითელ ხიდზე ტრანსპორტის მოძრაობა არ არის, თუმცა, ფეხით მოსიარულეთათვის ხიდის სავალი ნაწილი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია წითელი ხიდის რეაბილიტაცია/მოპირკეთება. პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელია ხიდის სავალი ნაწილის მოპირკეთება/რეაბილიტაცია, მოაჯირების დამუშავება და შეღებვა, ასევე უხარისხო განათების შეცვლა. სასურველია თუ ხიდი შეიძენს მხოლოდ საფეხმავლო დანიშნულებას.

✓ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩემი მონაწილეობით კომისიას ჩატარებული აქვს 8 სხდომა, რომლებზეც განვიხილეთ 8 საკითხი. სხვადასხვა სამართლებრივი აქტების პროექტები და ანგარიშვალდებული სამსახურების ინფორმაციები, მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვას. 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გამართა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, მოისმინა მერიის შესაბამისი სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშები და გაუწია მონიტორინგი მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებს.

2023 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ იმსჯელა და განიხილა ქუთაისის ბიუჯეტით განსაზღვრული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების, 31 ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები:

- ✓ შშმ პირები;
- ✓ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები;
- ✓ ავღანეთის ომის ვეტერანები;
- ✓ 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ქართულ ომში დაღუპული მეომრების ოჯახები;
- ✓ 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები;
- ✓ შშმ ვეტერანები;
- ✓ ,,60+" ხანდაზმულთა კლუბის წევრები;
- ✓ იძულებით გადაადგილებული პირები;
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახები;
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახები;
- ✓ მარტოხელა მშობლები;
- ✓ დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები.

2023 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტი შეადგენს 6 534 000 ლარს.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში. მიღებული ცვლილბები ემსახურება მოქალაქეების ყოფითი და ყოველდღიური პრობლემების შემსუბუქებას. მინდა მოკლედ მოგასენოთ ამ პროგრამების შესახებ.

1 მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლეთა სიას დაემატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებიც;

2 სამედიცინო დახმარების პროგრამაში მოხდა ცვლილება, გაიზარდა სარეიტინგო ქულის მაჩვენებელი 70000-დან 150001-ს ქულამდე, ბენეფიციართა სიას დაემატა ასაკის პენსიონერები; მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში (ინვაზიური, არაინვაზიური) გაიზარდა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სია: 5 წლამდე ბავშვები; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 150001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრები, დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები და მათი შვილები. შეზღუდული შესაძლებლობის სატატუსის მქონე პირები; ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული მოქალაქეები; გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებული პაციენტები; გადაუდებელი სამედიციცნო მომსახურების შემთხვევაში

დახმარების მოცულობა განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილის (0-დან 30%-მდე), საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პაკეტების შესაბამისად 70%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა.

3 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებს ისეთი მრავალშვილიანი ოჯახების, დახმარებას, რომლეთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, უფინანსდებათ ელექტროენერგიის დანახარჯი.

4 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში მოხდა ცვლილება და ბენეფიციართა ასაკი გაიზარდა 17 წლამდე. წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს: 1) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის –სეანსების ოდენობის არანაკლებ 70%-სა; 2) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 60%--სა; 3) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. სეანსების რაოდენობა და ბავშვის თერაპიის სახე ყოველთვის უნდა თანხმდებოდეს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ინახებოდეს მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში. მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის და მულტიდისციპლინური გუნდის შეთანხმების შემთხვევაში, სეანსების ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში, მაგ: სკოლა, საბავშვო ბაღი, სკვერი და ა. შ. თუ განსხვავებული გარემო არ მოითხოვს დამატებით ხარჯებსა და დროს. ინტერვენციის სიხშირე ცვალებადობს 20 საათამდე თვეში და მოიაზრებს ბენეფიციარისთვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას. ჩარევის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინტერვენციის სიხშირეზე, რასაც განსაზღვრავს ინდივიდუალური საჭიროება; ინტერვენციის ხანგრძლივობა, მისი გაზრდა/შემცირება/შეწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებასა და მზრუნველის გადაწყვეტილებაზე. ინტერვენციით მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე შესაძლოა ინტერვენციის სიხშირის, ხანგრძლივობის შემცირება/გაზრდა, ინტერვენციის ფორმის შეცვლა ან შეწყვეტა, რაც ხდება მზრუნველთან შეთანხმებით.

5 ადრეული ძუძუს აგრესიული „HER–2“ რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარების პროგრამას დაემატა ახალი კომბინირებული მედეკამენტის ,,ფესგო''-ს დაფინასება.

6 ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 50 000 ლარით.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სამუშაო შეხვედრა გამართა ქალაქში არსებული პოლიკლინიკების ხელმძღვანელებთან, შემუშავდა კითხვარი ბავშვებში პირველადი იმუნოდეფიციტის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით და

ველოდებით სტატისტიკას რამდენი მოზარდია აღრიცხული ზემოაღნიშნული ნოზოოლოგიით, რათა მოხდეს დახმარება მათთვის საჭირო შემდგომი კვლევების დაფინანსებაში.

➢ საკრებულოს ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ საქმიანობა

2021 წლის დეკემბრიდან ვარ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. მე-7 მოწვევის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ 17 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ, უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება:

- ✓ საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას;
- ✓ საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით საკუთარი კურსის გატარებას;
- ✓ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვას, საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფას, მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრ კონტროლს, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრას და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
- ✓ დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ფრაქციის სხდომებზე განიხილება ქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

ქალაქში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის საქმიანობის ფორმატში ვთანამშრომლობთ ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სხდომებზე ხდება მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფრაქციის მიერ ჩატარებულ 8 სხდომაზე, ჩვენს მიერ განხილული იქნა 8 საკითხი და შემუშავებული 6 ინიციატივა.

ფრაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კონტროლს, მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტის ფორმირებაში აქტიურ მონაწილეობას. ფრაქციის მიერ ქუთაისის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინების მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად წამოჭრილი სხვადასხვა

საჭიროებებისა და ფრაქციის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებები ინიციატივების სახით გადაგზავნილი იქნა აღმასრულებელი ხელისუფლებაში.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ბიუჯეტი ყოველწლიურად იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად. ამიტომ ძირითადად ფრაქციის რეკომენდაციები შეეხება ქალაქისა და მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. როგორიცაა:

- ✓ მრავალშვილიანი დედებისათვის ელექტრო ენერგიის საშეღავათო თანხის ლიმიტის გაზრდის შესახებ;
- ✓ არსებული საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაციის მიზნით ხარჯების გაზრდის შესახებ;
- ✓ ქალაქში არსებული ბუნებრივი სასულეების მოწესრიგებისა და რეაბილიტაციისათვის ხარჯების გაზრდის შესახებ;
- ✓ M2 კატეგორიის ტრანსპორტის შეძენისა და ახალი სვლა-გეზების დამატების მიზნით ხარჯების გათვალისწინების შესახებ;
- ✓ სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებისათვის თანხის გათვალისწინების შესახებ;
- ✓ სპეცტექნიკის შესაძენად თანხის გათვალისწინების შესახებ.

ბოლოს მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ჩვენო თანაქალაქელებო, გამოცხადებული ნდობისათვის და ჩემს პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა ჩემი წვლილი შემეტანა თვითმართველობის საქმიანობაში და მეზრუნა ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. ჩემი საქმიანობის მთავარი მიზანი სწორედ ამ ნდობის გამართლებაა.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი

დიმიტრი მხეიძე